



## სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა საქართველოში

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებული სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერის ანალიზი*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და “ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” ერთობლივად განხორციელებული პროექტის ფარგლებში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარდა სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერა. მოცემული აღწერა მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს სოფლის მეურნეობაში ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის (როგორც სასოფლო ასევე სოციალურ ინფრასტრუქტურის), მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის ზოგადი მდგომარეობის შესახებ.

### მოკლე მიმოხილვა

როგორც აღწერაშია მოცემული, საქართველოში მოქმედ ფერმერთა უმეტესობა პროდუქციას საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს, ამიტომაც ბაზარზე გასატანად მათ საკმარისი მოცულობის პროდუქცია არ გააჩნიათ. მნიშვნელოვანია ირიგაციის პრობლემა. ფერმერები, რომლებიც შედარებით დიდი მოცულობის პროდუქციას აწარმოებენ ამ პროდუქციის ბაზარზე გატანის შესაძლებლობას არიან მოკლებულნი. პრობლემას წარმოადგენს გადამამუშავებელი საშუალებების ხელმისაწვდომობა (როგორცაა, პირუტყვთა სასაკლაოები, რძის გადამამუშავებელი საწარმოები). რაც შეეხება, ვეტერინარულ მომსახურებასა და მარცვლეულით უზრუნველყოფის დონეს, ის შედარებით უფრო ხელმისაწვდომია, თუმცა კვლავ აქტუალური რჩება მანქანა მოწყობილობებით სარგებლობის დონე.

მოცემულ დოკუმენტში განხილულია ის ძირითადი შედეგები, რაც აღწერისას გამოვლინდა:

- **გასაღების ბაზრების ხელმისაწვდომობა.** ფერმერთა უმეტესობა კვლავ განიცდის საბითუმო ბაზრების ხელმისაწვდომობის პრობლემას. მაგალითად, ფერმერთა მხოლოდ 11% ახერხებს საბითუმო ბაზარზე საკუთარი რძის პროდუქტების გასაღებას. მსგავსი პრობლემა იმითაა გამოწვეული, რომ მათი უმეტესი ნაწილი გასაყიდად საკმარისი მოცულობას არ აწარმოებს (იმავე რძის წარმოებაში, ფერმერთა 67% აცხადებს, რომ ისინი მსგავსი საბითუმო ბაზრებით არ სარგებლობენ). ფერმერები ვინც სათანადო მოცულობის პროდუქციას აწარმოებს და შესაბამისად გასაღების ბაზრების საჭიროებას

განიცდის, აცხადებს რომ ასეთი ბაზრები მათი სოფლიდან საკმაოდ მოშორებით არის განთავსებული. საცალო გასაღების ბაზრები გაცილებით უფრო ხელმისაწვდომია. თუმცა, პროპორციულად კვლავ დიდია იმ ფერმერთა რიცხვი, რომლებიც არცერთი სახის ბაზრებით არ სარგებლობს.

- **პირუტყვთა სასაკლაოები.** ფერმერთა უმეტესობა აცხადებს, რომ მსგავსი სასაკლაოები არ სჭირდებათ. მსგავსი ადგილების შესახებ მათ 82%-ს არაფერი სმენია. აღნიშნული მდგომარეობა იმითაა გამოწვეული, რომ ფერმერთა უმეტესობას მცირე რაოდენობის პირუტყვი ჰყავს, რომელთა დაკვლასაც ისინი საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებენ. გამოკითხულთა 12%-ს მსგავსი სასაკლაოებით სარგებლობა სურს, თუმცა მათ რეგიონში იგი არ მოიპოვება. ფერმერთა მხოლოდ 6% სარგებლობს პირუტყვთა სასაკლაოებით.
- **რძის გადამამუშავებელი საწარმოები.** გამოკითხულ ფერმერთა მხოლოდ 10% სარგებლობს მსგავსი საწარმოებით. 33%-მა სურვილი გამოთქვა თავიანთი პროდუქციის საწარმოებში ჩაბარების თაობაზე, თუმცა ასეთი საწარმოები მათ რეგიონში არ არსებობს და მეორე მიზეზი ისაა, რომ საკმარისი მოცულობის რძის წარმოება არ ხორციელდება.
- **ლაბორატორიები ნიადაგის ანალიზის ჩასატარებლად.** როგორც გამოკითხვიდან ირკვევა, ქართველ ფერმერთა 97%-ს მსგავსი ლაბორატორიებით არ უსარგებლია, რადგანაც ასეთი სახის მომსახურება ან არ არსებობს ან ის საკმაოდ ძვირია.
- **მანქანა, მოწყობილობები.** ფერმერთა ნახევარი სარგებლობს იჯარით ან ქირაობს საჭირო მანქანა მოწყობილობებს. დანარჩენი ფერმერებიდან ნახევარი არ საჭიროებს მსგავს მოწყობილობებს, რადგანაც მათ ან უკვე აქვთ საჭირო რაოდენობა, ან მცირე მოცულობის ტერიტორიას ფლობენ. ნაწილი ფერმერებისათვის კი მოწყობილობები ან ძვირია ან მათ რეგიონში არ არის.
- **საწყობები.** გამოკითხულ ფერმერთა ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს საწყობებით. მიზეზი კვლავ არასაკმარისი მოცულობის პროდუქციის წარმოებაა.
- **ვეტერინარული მომსახურება.** გამოკითხულ ფერმერთა 75% სარგებლობს ვეტერინარული მომსახურებით.
- **ირიგაცია.** ფერმერთა 81% არ ახორციელებს ნაკვეთების ირიგაციას.
- **მარცვლეული.** მარცვლეულზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით განსხვავდება. თუკი იმერეთში ფერმერთა 92%-ია უზრუნველყოფილი მარცვლეულით, ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი 58%-მდე მცირდება.
- **სასუქები.** სასუქებზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. იმერეთში ფერმერთა 90% დაკმაყოფილებულია სასუქებით, მცხეთა-მთიანეთში კი მხოლოდ 27% ღებულობს საკმარის მოცულობას.